სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური
State Inspector's Service

SIS 9 19 00004592

21/10/2019

საქართველოს პარლამენტთან არსებული
ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს,
ბატონ ელდარ შენგელაიას

ბატონო ელდარ,
საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს 2019 წლის 17 ოქტომბრის №48 წერილის პასუხად, „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გიგზავნით „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ემბლემის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 18 ოქტომბრის №6 ბრძანებასა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ემბლემას, მის აღწერილობასთან ერთად.

დანართი: 2 გვერდი

პატივისცემით,

სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე
გამეზარდაშვილი გიორგი

ვაჩნაძის ქ. №7, 0105, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2421000
ელ–ფოსტა: office@stateinspector.ge

7, Vachnadze Str, 0105, Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2421000
E-mail: office@stateinspector.ge

დანართი

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ემბლემა

აღწერილობა:

ლაჟვარდისფერი არშიით შემოსაზღვრული ჰერალდიკური ფარის ვერცხლის ველზე გამოსახულია ჰერალდიკური ფარი მეწამული ფერის არშიით. მცირე ფარის ვერცხლის ველზე ზედა ნახევარზე გამოსახულია ლაჟვარდისფერი გვირგვინი, ხოლო ქვედა ნაწილში ლაჟვარდისფერი გადაკვეთილი კლასიკური სვეტის სტილიზებული ფიგურა.

სახელმწიფო ინსპექტორის

ბრძანება №6

2019 წლის 18 ოქტომბერი

ქ. თბილისი

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ემბლემის დამტკიცების თაობაზე

„სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ემბლემა თანდართული სახით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 15 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

სახელმწიფო ინსპექტორი **ლონდა თოლორაია**